საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

12 მარტი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №108/17

"-- --" - წარმომადგენლების -- -- ის და -- -- ის 2017 წლის 23 ივნისის №-- -- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 28 თებერვლის №108/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 12 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორების განცხადებით, მათ 2017 წლის 13 აპრილს -- -- მიმართ ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, სასარჩელო განცხადებით მიმართეს -- -- საქალაქო სასამართლოს. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- -- მიუხედავად არაერთი მცდელობისა, მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება ვერ მოხერხდა. შესაბამისად, მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა მოსამართლე -- -- და მოპასუხისათვის სარჩელის საჯარო

შეტყობინების გზით ჩაბარება მოითხოვა. 2017 წლის 8 ივნისის განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა ხსენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

საჩივრის ავტორების განცხადებით, მოსამართლე -- -- მიიღო უსამართლო გადაწყვეტილება და ამით შელახა საჩივრის ავტორთა უფლებები და მიაყენა მათ მატერიალური ზიანი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 18 აპრილს -- -- (წარმომადგენლები, -- -- და -- --) სასარჩელო განცხადებით მიმართეს -- -- საქალაქო სასამართლოს და მოპასუხის - „-- --„ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დაკისრება მოითხოვეს.

2017 წლის 5 ივნისს მოსარჩელის წარმომადგენელმა, სარჩელის მოპასუხისათვის საჯარო შეტყობინების გზით ჩაბარების შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ სასამართლო გზავნილი, მოპასუხის ყველა ცნობილ მისამართზე, გაგზავნილ იქნა 2-ჯერ, თუმცა, მოპასუხისათვის სარჩელის და თანდართული დოკუმენტების ჩაბარება ვერ მოხერხდა. წარმოდგენილი იყო ასევე ხსენებული გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტები.

2017 წლის 8 ივნისს განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ხსენებული განჩინება მოსარჩელეს გაეგზავნა 2017 წლის 9 მაისს.

2017 წლის 19 ივნისს მოსარჩელის წარმომადგენელმა სარჩელის გამოხმობის შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს. იდენტური შინაარსისაა (იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელში განმცხადებელი სასამართლოსათვის ხელახლა მიმართვის უფლებით ითხოვს სარჩელის გამოხმობას) 2017 წლის 22 მაისის განცხადებაც.

2017 წლის 26 ივნისის განჩინებით, მოსარჩელის განცხადება სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე დაკმაყოფილდა, -- -- სარჩელი მოპასუხის -- -- მიმართ, ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე მისი გამოხმობის გამო დარჩა განუხილველი. მოსარჩელეს ასევე განემარტა, რომ მას უფლება ჰქონდა, საერთო წესის დაცვით კვლავ მიემართა სასამართლოსათვის.

2017 წლის 26 ივნისს განჩინება მოსარჩელის წარმომადგენელს ჩაბარდა 2017 წლის 27 ივნისს. აღნიშნული განჩინება არ გასაჩივრებულა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური

გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია, ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს განჩინება სასამართლო გზავნილის საჯაროდ ჩაბარების შესახებ.

ზემოაღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე ნათელია, რომ საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების მიღება წარმოადგენს მოსამართლის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. ამდენად, მოსამართლე შესაბამისი განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და შუამდგომლობის დაკმაყოფილება/არ დაკმაყოფილების საკითხის შეფასება მისი დისკრეციაა. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლის მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. გადაწყვეტილების ამ

მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 12 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მესამე პუნქტითა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №108/17, მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი